განახლებული შემადგენლობით

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 26 მაისი.

“დინამო” (თბილისი) _ “ლოკომოტივი” (მოსკოვი) 4:0 (2:0).

“ლოკომოტივი”: მასლაჩენკო, სოროკინი, შელეხოვი, მაქსიმოვი, არტემიევი, მარუშკო, სიმეოშინი (სოკოლოვი), ვოროშილოვი, გრეჩიშნიკოვი, ბელიაკოვი, სპირიდონოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, თორაძე, ჩოხელი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მელაშვილი (დათუნაშვილი), ბარქაია, კალოევი, ზეინკლიშვილი, მესხი.

მსაჯი: პ. ბელოვი (ლენინგრადი).

გუშინდელ მატჩს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც “ლოკომოტივის”, ისე “დინამოსათვის”. პირველი წრე დასასრულს უახლოვდება და ორივე გუნდს საკმაოდ საეჭვოდ აქვს საქმე სატურნირო ცხრილში. საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ ქვეჯგუფში აუცილებლად საჭიროა ხუთეულში მოხვედრა ფინალურ ჯგუფში გასასვლელად. თითოეული დაკარგული ქულა საბედისწეროა ყოველი გუნდისათვის, ვინაიდან ისინი გათამაშების საბოლოო ეტაპზე გადიან მთელი იმ “მარაგით”, რომელიც მათ მოიპოვეს წინასწარ თამაშებში.

თბილისის “დინამოს” ხელმძღვანელობამ გუნდი განახლებული შემადგენლობით გამოიყვანა მინდორზე. ეს პირველ ყოვლისა, შეეხება იამანიძის დაწევას ერთი რგოლით უკან _ ნახევარდაცვაში, ხოლო მარცხენა შაუმარბის ადგილზე გადაყვანილ იქნა ზეინკლიშვილი, ამ გადაადგილებამ ძირითადად გაამართლა მიზანი, ვინაიდან იამანიძე გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე წინა მატჩებში, ხოლო ზეინკლიშვილს შეუძლია მოემსახუროს ვრცელ ტერიტორიას და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს ნახევარდაცვის ზონას იამანიძის შეტევაში მონაწილეობის დროს.

სწორედ ასე თამაშობდნენ ისინი პირველ ტაიმში, როცა დინამოელებს თითქმის არ გაუშვიათ ხელიდან ინიციატივა. გუნდი, როგორც წესი, მარცხენა ფრთიდან უტევდა, სადაც სრული კონტაქტი იყო დამყარებული მესხსა და მის პარტნიორებს შორის, მაგრამ მარჯვენა ფლანგის ხვედრითი წონა ამ უპირატესობაში საკმაოდ მოკრძალებული იყო, ვინაიდან ბარქაია აშკარად არაა შესული ფორმაში თავისი ხანგრძლივი “ანტრაქტის” შემდეგ, ხოლო მელაშვილი ჯერჯერობით ყველაზე სუსტად თამაშობს თავდასხმაში. რამდენიმე სახიფათო შეტევა ლოკომოტიველებსაც ჰქონდათ, სადაც ფორვარდები ცდილობდნენ საბოლოო დარტყმისათვის ვოროშილოვი დაეტოვებინათ თავისუფალ პოზიციაში, მაგრამ მოსკოველთა ვეტერანი ამ დღეს გასაოცრად არაზუსტად ურტყამდა კარში.

დინამოელებმა ანგარიში გახსნეს მე-5 წუთზე. იამანიძემ და კალოევმა გაითამაშეს ლაკონიური, სწრაფი კომბინაცია და იამანიძემ ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში _ 1:0. მე-20 წუთზე დინამოელები კვლავ მარცხენა ფრთიდან უტევდნენ მოწინააღმდეგეს, ბურთი მიიღო იამანიძემ და ზედ კარის წინ მიაწოდა კალოევს. თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი “ლოკომოტივის” დაცვას სრულიად უყურადღებოდ ჰყავდა დატოვებული ამ მომენტში და გუნდს ეს შეცდომა მეორე გოლად დაუჯდა (კალოევმა თავით გაიტანა იგი). ამ ბურთის გაშვებაში ერთ-ერთი მთავარი დამნაშავეა მეკარე მასლაჩენკოც, მაგრამ ეს არ იყო მისი პირველი და უკანასკნელი შეცდომა. ნაკრების მეკარე ამ დღეს თამაშობდა ძალზე სუსტად და მხოლოდ არეულობა შეჰქონდა თავისის დაცვის რიგებში.

მეორე ტაიმი მოსკოველებმა გაცილებით უკეთ ჩაატარეს, ვიდრე პირველი. მათ თავიდანვე მიაღწიეს უპირატესობას შუა მინდორზე და თამაში თანდათან გადაიტანეს მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ “დინამოს” დაცვა ამ ძნელ პერიოდში კარგი თამაშისათვის დამსახურებული კომპლიმენტის ღირსია, ვინაიდან მან ბრძოლა აწარმოა ორგანიზებულად, მოფიქრებული ურთიერთმოქმედებით.

თითქმის 30 წუთი გრძელდებოდა ლოკომოტიველთა იერიშები და დინამოელთა მიზანი თითქოს მხოლოდ ერთი იყო _ ანგარიშის შენარჩუნება, მაგრამ აქ სრული ძალით ითამაშა მესხმა, რომლის აქტიური მონაწილეობით გატანილ იქნა კიდევ ორი გოლი. მან საბოლოოდ გატეხა მოსკოველთა დაცვის წინააღმდეგობა თავის ფლანგზე და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა ზედ კარის წინ. მესხის მოწოდების შემდეგ 36-ე წუთზე გაიყვანა კალოევმა მეკარის პირისპირ ზეინკლიშვილი (3:0). ხოლო ორი წუთის შემდეგ მარცხენა გარემარბი თვითონ შევიდა საჯარიმო მოედანზე და სოროკინთან და მასლაჩენკოსთან ბრძოლაში მეოთხე ბურთიც გაიტანა “ლოკომოტივის” კარში _ 4:0.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს აგრეთვე თბილისელებმა _ 3:0.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 27 მაისი, 1961 წ.